



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებების პროგრამა

**ნიჭიერი ბავშვების სწავლება გაღრმავებული და აჩქარებული
პროგრამებით
(მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაზე
დაყრდნობით ერაყის დაწყებით სკოლებში)**

ჯიჰან ბაშერი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2016

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირმა მესირიძე

(სახელი, გვარი)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
დოქტორი

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი - მაია ჩქოტუა

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი - ნინო თვალჭრელიძე

3. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

(არსებობის შემთხვევაში)

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. სრული პროფესორი, დოქტორი - ლუდმილა კნოდელი

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი - ირა დანელია

3. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი - თამარ მიქელაძე

(არსებობის შემთხვევაში)

შესავალი

სტუდენტებთან, ბავშვებთან თუ ახალგაზრდებთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინი, „დაჯილდოებული და ნიჭიერი“ ნიშნავს ამ ადამიანების მაღალ ინტელექტუალურ თუ კრეატიულ შესაძლებლობებს და ხელოვნების, ლიდერობის თუ კონკრეტული აკადემიური მიმართულებით მაღალ უნარს. ასეთ ბავშვებს, შესაძლებლობების სრულად რეალიზაციის მიზნით, ესაჭიროებათ მომსახურება, რომელსაც, როგორც წესი, სკოლა მათ არ სთავაზობს (No Child Left Behind Act, P.L. 107-110 [Title IX, Part A, Definition 22], 2002). დაჯილდოებული ბავშვების იდენტიფიცირება უმეტესწილად დაწყებით სკოლაში ხდება. მათ მიეწოდებათ დამატებითი მომსახურება, მათ შორის, უფრო დახვეწილი კურიკულუმი, დამატებითი რესურსები, უკეთესი მასწავლებლები და უფრო რთული სწავლის გარემო ვიდრე ეს არა-დაჯილდოებული თანატოლებისთვისაა განკუთვნილი. ნიჭიერი ბავშვების პროგრამების ოპონენტები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები, რომლებიც არ ატარებენ ამ „იარლიყს“ და შესაბამისად ვერ იღებენ დამატებით დახმარებას სწავლის პროცესში, ვერ სარგებლობენ უპირატესობით (Oakes, 1985; Smith-Maddox & Wheelock, 1995). თუმცა, ასეთი პროგრამების მომხრეები ამტკიცებენ, რომ დამატებითი მომსახურება საჭიროა „მაღალი უნარის“ მოსწავლეებისთვის რათა სრულად მოხდეს მათი აკადემიური პოტენციალის გამოვლენა (Fiedler & Lange, 1993; Johnsen & VanTassel-Baska, 2006).

წინამდებარე კვლევის მიზანია მინიმალური დანახარჯით ნიჭიერი ბავშვებისთვის ეფექტიანი შერჩევის მეთოდის ჩამოყალიბება და მათი საჭიროებების, ინტერესების და დონის მიხედვით დაჩქარებული და გაძლიერებული პროგრამის შეთავაზება ერაყში, ქურთისტანის რეგიონში. ამასთანავე, მათი ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტის (IQ) და კრეატიული დონის შეფასების ინსტრუმენტების უმრავლესობა უფრო სანდო იყო დაჯილდოებული ბავშვების შერჩევის კუთხით. საერთო ჯამში, კვლევამ შეიძლება აამაღლოს ცნობიერება, ყურადღება გაამახვილოს და ინტერესი გააღვიოს დაჯილდოებული ბავშვებისა და მათი განათლების მიმართ.

საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შექმნილია და ხორციელდება ნებისმიერ საზოგადოებაში, ბავშვების გონებრივი სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმია. დაჯილდოებულმა და ნიჭიერმა ბავშვებმა სარგებელი უნდა მიიღონ ასეთი საგანმანათლებლო პროგრამებისგან.

წინამდებარე კვლევაში განხილულია პრობლემები, როგორცაა მასწავლებლების ინფორმირების ნაკლებობა დაჯილდოებული და ნიჭიერი მოსწავლეების ცოდნის და მათი განათლების შესახებ, შედეგად კი, ნიჭიერი ბავშვებისადმი მორგებული სისტემის არარსებობა კერძო დაწყებით სკოლაში ერბილში, ერაყში.

სადოქტორო დისერტაციის მიზნებია:

- დაჯილდოებული მოსწავლეების პოვნის და შერჩევის ეფექტიანი მეთოდები;
- მორგებული საგანმანათლებლო მოდელების შექმნა, როგორცაა დაჩქარებისა და გაძლიერების პროგრამები დაჯილდოებული მოსწავლეების საჭიროების შესაბამისად;
- ამ პროგრამების ეფექტიანობის შედარება.

კვლევის კითხვები

კვლევის მიზანია პასუხი გასცეს ოთხ შეკითხვას, რომლებიც წარმოიშვა წინა კვლევებიდან და თემასთან დაკავშირებით პრაქტიკული და თეორიული მიდგომების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად. აღნიშნული კითხვები ჩამოყალიბდა თემის სიღრმისეულად კვლევის მიზნით.

- **კით.1.** რა სჭირდებათ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს რათა გაიუმჯობესონ ცოდნა დაჯილდოებული მოსწავლეებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ერაყის ქურთისტანის რეგიონში?
- **კით.2.** არის თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავება დაჯილდოებული ბავშვების დაჩქარებისა და გაუმჯობესების პროგრამებს შორის მათი მეცნიერებისა და მათემატიკის გაკვეთილებზე მორგების კუთხით?
- **კით.3.** როგორ უნდა შეირჩეს დაჯილდოებული მოსწავლეები?
- **კით.4.** რა როლი აკისრიათ მასწავლებლებსა და მშობლებს დაჯილდოებული ბავშვების შერჩევის პროცესში?

დისერტაციის ჰიპოთეზა

გამლიერებული საგანმანათლებლო პროგრამები დაჯილდოებული და ნიჭიერი მოსწავლეებისთვის უფრო ეფექტური და შესაფერისია დაჩქარებულ პროგრამებთან შედარებით. იგი ეხმარება ნიჭიერ ბავშვებს გააღრმავონ თავიანთი კრეატიულობის და განათლების დონე. გამლიერებული საგანმანათლებლო პროგრამები საუკეთესო არჩევანია ყველა დაჯილდოებული ბავშვისთვის, ხოლო დაჩქარებულ პროგრამებს უპირატესობა აქვს განსაკუთრებით დაჯილდოებული ბავშვების შემთხვევაში.

კვლევის მეთოდები

ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის გასაცემად შემდეგი კვლევის მეთოდებია გამოყენებული:

- თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი
- კითხვარები
- ექსპერიმენტი
- გამოკითხვა
- დაკვირვება
- კითხვარების პასუხების და ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი პარადიგმა:

- პრეტესტი მეცნიერებისა და მათემატიკის გაკვეთილებზე (ექსპერიმენტის დაწყებით ეტაპზე)
- შუალედური ტესტი მეცნიერებისა და მათემატიკის გაკვეთილებზე (ექსპერიმენტის მიმდინარეობის დროს)
- კვლევის შემდგომი ტესტი მეცნიერებისა და მათემატიკის გაკვეთილებზე (ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ)
- ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტის (IQ) ტესტი (ექსპერიმენტის დაწყებამდე და მას შემდეგ, პრე და პოსტ ტესტების სახით)
- კრეატიულობის ტესტი (ექსპერიმენტის დაწყებამდე და მას შემდეგ პრე და პოსტ ტესტების სახით)

ხარისხობრივი პარადიგმა:

- მასწავლებელთა ნომინირების ფორმები
- მშობელთა ნომინირების ფორმები
- კმაყოფილების დონის კვლევა ნიჭიერი მოსწავლეებისთვის პროგრამის შემდეგ
- სტუდენტთა მოქმედების დაკვირვება გაკვეთილებზე

კვლევის მნიშვნელობა

წინამდებარე კვლევა საშუალებას მისცემს მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრატორებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ნიჭიერი და დაჯილდოებული ბავშვებისა და მათი განათლების შესახებ. მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის სკოლის გარემოში სემინარების, საგანმანათლებლო პროგრამების და ღონისძიებების გამართვით გაიზრდება მათი ცნობიერება და ცოდნა დაჯილდოებული ბავშვებისა და მათი განათლების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ერაყის ქურთისტანის რეგიონში ნიჭიერთა განათლების შესახებ არსებობს გარკვეული კვლევები და პროექტები, ჯერ კიდევ არ არის სათანადო ცნობიერების დონე და სრული სურათი ნიჭიერთა და დაჯილდოებულთა განათლების შესახებ. ნიჭიერთა განათლების, პროგრამების და დაჯილდოებულ მოსწავლეთა შესახებ ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და მასწავლებლებში დადებითი დამოკიდებულების შექმნა და ცნობიერების ამაღლება ასეთი მოსწავლეების საჭიროების დაკმაყოფილების პირველი ნაბიჯია. ამგვარად, წინამდებარე კვლევამ შეიძლება დადებითი გარემო შექმნას ნიჭიერ მოსწავლეთა განათლების მნიშვნელობის შესახებ.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლების უმრავლესობა ვერ ახდენს ნიჭიერ მოსწავლეთა იდენტიფიცირებას და განსხვავებული პროგრამების შეთავაზებას. ფინანსური მხარდაჭერის, ცოდნისა და პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ნიჭიერთა განათლების ძირითადი წინააღობაა. ჩვენ ვცადეთ მინიმალური დანახარჯებით ეფექტიანი შერჩევის პროცესის და პროგრამების შექმნა ნიჭიერ მოსწავლეთათვის და მათი განათლებისათვის. განსაკუთრებით კი, წინამდებარე კვლევაში გამოყენებული ტონი 4 გონებრივი შესაძლებლობის ტესტი არავერბალური ინტელექტის ტესტია და შესაბამისად, იოლად გამოსაყენებელია. სხვა ტესტებთან

შედარებით იგი ნაკლები ხანგრძლივობისაა და გამორიცხავს ენობრივ და კომუნიკაციის პრობლემებს გამოსაცდელსა და გამომცდელს შორის.

კვლევის სიახლე

კვლევის ძირითადი მიზანია რეგიონში, დაჯილდოებულთა განათლების შესახებ პირველი ნაბიჯების გადადგმა. ნიჭიერთა განათლების შესახებ ჩატარებულია რამდენიმე კვლევა, თუმცა აქცენტი ძირითადად კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა შერჩევის მეთოდები, დაჩქარებული და გაძლიერებული პროგრამები, მასწავლებელთა დამოკიდებულება, დაჯილდოებულ მოსწავლეთა ცოდნა თუ დაჯილდოებული ბავშვების სწავლება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. წინამდებარე კვლევაში, განხილულია ნიჭიერ ბავშვთა განათლების ბევრი სხვა ასპექტიც, როგორცაა მოსწავლეთა შერჩევა გონებრივი შესაძლებლობის და კრეატიულობის ტესტების გამოყენებით და სხვა ნომინაციები, პროგრამების შემუშავება და მოსწავლეთა სწავლება.

გარდა ამისა, ზოგადად ჩატარებულია დაჩქარებული და გაძლიერებული პროგრამების ეფექტურობის შედარება, ხოლო ერაყში ამგვარი კვლევა არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის მოსახლეობა არაა მრავალრიცხოვანი, აქ ბევრი ნიჭიერი და დაჯილდოებული მოსწავლეა, რომელთა ამოცნობა და იდენტიფიცირება საჭიროა. ჩემი აზრით, ეს კვლევა უფრო მეტია ვიდრე თეზისი. იგი უწყვეტი განათლების პროგრამა და შესაძლებლობაა ასეთი სტუდენტების უმრავლესობისთვის. დაჯილდოებული ბავშვების უმეტესობის იდენტიფიცირებისა და გამოვლენისთვის, საჭიროა საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ნიჭიერთა განათლების შესახებ. თუმცა, ამ ტიპის კვლევისთვის საჭიროა კარგად აგებული შერჩევის მოდელები და კურიკულუმი, სკოლის მიერ მისი მიწოდება და რაც მთავარია, მთავრობის მხარდაჭერა. ამ პროგრამების უწყვეტობა ძირითადად ფინანსურ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. რადგანაც შერჩევის მეთოდები, როგორცაა IQ ტესტი, მიღწევის ტესტები, კრეატიულობის ტესტები ძვირად ღირებულია და მათ ადმინისტრირებისთვის პროფესიონალი კადრებია საჭირო.

წინამდებარე კვლევის შედეგები სასარგებლო და მნიშვნელოვანია სხვადასხვა თვალსაზრისით. იგი წარმოადგენს მტკიცებულებას ერაყის ქურთისტანის რეგიონში

ნიჭიერთა განათლების ირგვლივ გარკვეული კვლევების არსებობის შესახებ. მასში ასევე მოცემულია შერჩევის მეთოდები და განათლების პროგრამები სკოლებისთვის.

თეზისის თეორიული ღირებულება

წინამდებარე კვლევის თეორიული ღირებულებაა დაჩქარებული და გაძლიერებული პროგრამების კრიტიკული ანალიზი, მათი უპირატესობის და ნაკლოვანების დადგენა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კვლევაა ჩატარებული გაძლიერებული და დაჩქარებული პროგრამების შესახებ, ცოტა რამაა გაკეთებული ამ პროგრამების შედარებისთვის. კვლევაში განხილულია ორი ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა: გაძლიერებული და დაჩქარებული პროგრამები დაჯილდოებული და ნიჭიერი სტუდენტებისთვის. გაძლიერება ნიშნავს განსხვავებულ კურიკულუმს, რომელიც ეფუძნება სკოლის პროგრამების გამდიდრებას სხვადასხვა აქტივობებით, საინტერესო მასალებით, თამაშებით, და სწავლის ახალი აქტივობებით. დაჩქარება, კი ნიშნავს სტუდენტებისთვის უფრო მეტი და რთული შინაარსის საგნების შეთავაზებას. ეს ზოგადად შესაძლებელია სტუდენტების წახალისებით შეისწავლონ მეტი თემა.

ერაყელი სტუდენტების თავისებურებების გათვალისწინებით, შემუშავდა გაძლიერებული პროგრამის მოდელი, რომლის მიხედვითაც ექსპერიმენტულ ჯგუფში სწავლება წარიმართა.

დაჩქარების პროგრამისთვის, შევარჩიე დამატებითი თემები კვლევისთვის. საზაფხულო სკოლაში, სახელწოდებით „სახალისო საზაფხულო სკოლა“, გაძლიერებული და დაჩქარებული პროგრამების გამოყენებით ჩემი მიზანი იყო შემეფასებინა ამ პროგრამების ეფექტიანობა და განმესაზღვრა თუ რომელი იყო უფრო შესაფერისი ნიჭიერი ბავშვებისთვის.

ჩემს მიერ შემუშავებული გაძლიერებული პროგრამის მოდელის თეორიული საფუძველი შემდეგ საკითხებზე დაყრდნობითაა მომზადებული:

- დაჯილდოებულ ბავშვების და მათი განათლების განმარტება (Sternberg and Davidson ,1986; Eyre, 1997; Renzulli,1986; Sternberg & Zhang, 1995)
- დაჯილდოებულ მოსწავლეთა გარკვეული მახასიათებლები (Clark, 2002;

Davis & Rimm, 2004; Gagné, 2004c; Renzulli, 2002; Sternberg & Davidson, 2005; Tannenbaum, 1983)

- გაძლიერების და დაჩქარების მოდელები (Renzulli, 1977; Davis and Rimm, 2004)
- დაჯილდოებული მოსწავლეების შერჩევის მოდელები სხვადასხვა ქვეყნიდან (Shane N. Phillipson, 2009; Peyser, 2005; Heller, 2005)
- დაჯილდოებულთა განათლების პროცესში მითითებების მიცემის მეთოდები (Park (2001; Sheffield, 1999, 2003)

თეზისის პრაქტიკული ღირებულება

პრუფროკის და კრიტიკული აზროვნების კომპანიისაგან მოპოვებული მასალების, კრიტიკული გაკვეთილების, პრობლემის გადაჭრის ღონისძიებებისა და თამაშების დახმარებით, მკვლევარმა შეიმუშავა გაძლიერებული პროგრამის ახალი მოდელი დაჯილდოებული ბავშვებისთვის.

ნიჭიერი ბავშვებისა და მათი განათლების შესახებ ბევრი კვლევა არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა წინამდებარე კვლევა იქნება პირველი და მნიშვნელოვანი ნაშრომი ასეთი ბავშვების იდენტიფიცირებისა და მათთვის სათანადო საგანმანათლებლო მოდელების ჩამოყალიბების კუთხით ერბილში, ერაყში.

წინამდებარე კვლევით შესაძლებელია ცნობიერების გაზრდა ნიჭიერი ბავშვებისა და მათი განათლების შესახებ. იგი ასევე სასარგებლო იქნება მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის.

ამ კვლევაში მოყვანილი ნიჭიერებისა და კრეატიულობის ტესტების, ნომინაციის ფორმებისა და იდენტიფიკაციის სხვა მექანიზმების პრაქტიკული გამოყენება მასწავლებლებს ახალ შესაძლებლობას მისცემს და წვლილს შეიტანს ნიჭიერთა განათლების კუთხით.

იმედია, რომ კვლევა წახალისებს და მოტივაციის აუმაღლებს მასწავლებლებს და პოლიტიკის შემქმნელებს გამოიყენონ იდენტიფიკაციის სხვადასხვა მეთოდები და საგანმანათლებლო პროგრამები ერბილში, ერაყში.

კვლევის სტრუქტურა

კვლევა სამი თავისგან შედგება. პირველი თავი მოიცავს ნიჭიერთა განათლების განმარტებებს, ლიტერატურის მიმოხილვას, შერჩევის მეთოდების თეორიულ მიდგომებს და ნიჭიერთა განათლების სხვადასხვა საგანმანათლებლო მეთოდებს.

მეორე თავში მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის შერჩევის მეთოდების და საგანმანათლებლო მოდელების მაგალითები. აქვე წარმოდგენილია მათემატიკისა და მეცნიერების გაკვეთილების კვლევა ნიჭიერი მოსწავლეებისთვის დაწყებით დონეზე. იგი ასევე მოიცავს მკვლევართა შერჩევის მოდელს, რომელიც სხვა ბევრი მოდელის საფუძველზეა შემუშავებული კვლევისათვის ნიჭიერი ბავშვების შერჩევის მიზნით. მესამე თავში აღწერილია ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდების, შედეგებისა და მონაცემთა ანალიზის აღწერა, ასევე მონაცემთა ინტერპრეტაცია და შემდგომი კვლევებისთვის მოსაზრებები.

დისერტაცია შედგება შესავალი ნაწილის, სამი თავის, დასკვნისა და დანართებისგან. ნაშრომში მოცემულია 27 ცხრილი და 8 სურათი.

თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ნიჭიერთა განათლების კუთხით გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორცაა ნიჭიერობა, ნიჭიერი ბავშვი, ინტელექტუალური განვითარების და კრეატიულობის ტესტები. ფორდი (1996) აღნიშნავს, რომ აკადემიური მიღწევა და ინტელექტის დონე ნიჭიერების განმარტების ცენტრალური საკითხებია და მათ უმთავრესი როლი აკისრიათ დაჯილდოებული ბავშვების იდენტიფიცირების კუთხით. ბევრი მკვლევარისთვის ბავშვების ინტელექტის დონე განსაზღვრავს მათ ნიჭიერებას. მნიშვნელოვანი დებატებისა და დაბნეულობის გამო, ბევრი მკვლევარისთვის რთულია გადმოსცეს ნიჭიერების ერთიანი და მიღებული განმარტება.

ხუთკუთხედის თეორიის თანახმად, ნიჭიერების განსაზღვრისთვის ძირითადად გამოყენებულია ხუთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელიც ცნობილია როგორც ნიჭიერების ხუთკუთხედის თეორია (Sternberg & Zhang, 1995). ეს კრიტერიუმებია: უპირატესობა, იშვიათობა, პროდუქტიულობა, გამოვლენის უნარი და ღირებულება.

ამ თავში ასევე ყურადღება გამახვილებულია ნიჭიერი ბავშვებისა და მათი მასწავლებლების ზოგად მახასიათებლებზე და ასეთი მოსწავლეების შერჩევის მეთოდებზე. კლარკი (2002) ნიჭიერი ბავშვების განსაზღვრებისთვის განსხვავებულ კატეგორიებს გვთავაზობს, როგორცაა:

კოგნიტური მახასიათებლები, როგორცაა აღქმა, სხვადასხვა ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, ენობრივი განვითარების მაღალი დონე და ვერბალური უნარი; **აფექტური (ემოციური) მახასიათებლები**, როგორცაა მისი არსებობის შემეცნება, სხვებისგან განსხვავებულობის აღქმა, იუმორის გრძნობა, იდეალიზმი და პერფექციონიზმი; **ფიზიკური მახასიათებლები**, სხვაობა ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას შორის და დაბალი ტოლერანტობა; **ინტუიციური მახასიათებლები**, როგორცაა ცნობისმოყვარეობა და ახალი გამოცდილებების მიმდებლობა; **საზოგადოებრივი მახასიათებლები**, როგორცაა თვით რეალიზაციის საჭიროების განპირობებული მოტივაცია, სოციალური საკითხებით და მათი გადაწყვეტის გზებით დაინტერესება, ლიდერობა და საზოგადოების მეტა-საჭიროებებში ჩართვა (როგორცაა სამართლიანობა, სიმართლე, სილამაზე). პირველ თავში ასევე განხილულია მშობელთა და მასწავლებელთა დამოკიდებულებები ნიჭიერთა განათლების და დაჯილდოებული ბავშვების მიმართ.

თავი 2: ნიჭიერ ბავშვთა შერჩევა, გაძლიერებული და დაჩქარების პროგრამა

წინამდებარე თავში განხილულია ნიჭიერ ბავშვთა შერჩევის მეთოდებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა ზოგიერთ ქვეყანაში. ნიჭიერ ბავშვთა იდენტიფიკაცია ერთ-ერთი ყველაზე ურთიერთ გამომრიცხავი და განსახილველი თემაა ნიჭიერთა და დაჯილდოებულთა საგანმანათლებლო პროგრამებში (VanTassel-Baska, 2000). ბევრი ექსპერტი ამტკიცებს, რომ შერჩევის პროცესში გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი მეთოდები უფრო ზუსტი შედეგების მისაღებად (Louis, & Feiring, 1991).

ამ თავში, ჩვენ ასევე განვიხილავთ ახალი მიდგომების, ინსტრუქტაჟის და შერჩევის მეთოდების მნიშვნელობას ნიჭიერთა განათლებაში. ეს განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ასეთი ბავშვების ინტერესის, მონაწილეობის და დავალებისადმი პასუხისმგებლობის გაძლიერებისთვის. მასწავლებლებმა მითითების სხვადასხვა მეთოდები უნდა გამოიყენონ მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გამოყენება მითითების დროს შედეგის მისაღწევად. ვანტასელ-ბასკას (2000, 2003) მოცემული აქვს მითითებების წარმატებული მეთოდის ექვსი სახელმძღვანელო პრინციპი. ესენია:

(1) ნიჭიერმა ბავშვებმა უნდა მიიღონ კურიკულუმის სხვადასხვა სახეობა სწავლის მაქსიმალურად ხელშესაწყობად. (2) რადგანაც მათი სწავლის საჭიროებები განსხვავდება სხვა მოსწავლეებისგან, საჭიროა კურიკულუმის მათ სპეციალურ საჭიროებებზე მორგება. (3) კურიკულუმი უნდა მოიცავდეს შემეცნებით, აფექტურ, სოციალურ და ესთეტიკურ მიმართულებებს. (4) მათ სჭირდებათ როგორც დაჩქარებული, ასევე გაძლიერებული სწავლის გამოცდილება. (5) მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, კურიკულუმი ფრთხილად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს. (6) კურიკულუმის დაგეგმვა მიმდინარე პროცესია, ხოლო შეფასება მნიშვნელოვანი მექანიზმია მომავალი დაგეგმვისთვის და სასწავლო გეგმის გადახედვისთვის. სტენლის ტალანტების ძიების მოდელი (Swiatek & Lupkowski-Shoplik, 2005), რენზულის (e.g., Renzulli & Reis, 2003) სკოლის მასშტაბითი გაძლიერების მოდელი, ბეტსის (1984) ავტონომიური სწავლების მოდელი მოიცავს მითითებების სხვადასხვა მეთოდებს ნიჭიერ მოსწავლეთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, არსებობს ბევრი სხვა მითითების მეთოდი, რომლებიც ძალზედ ეფექტიანად ეხმარება ნიჭიერ მოსწავლეებს და ზრდის გაკვეთილზე მოტივაციის დონეს.

თავი 3: კვლევის მეთოდების მეთოდოლოგია და ანალიზი: გაძლიერების და დაჩქარების მეთოდების გამოყენება

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ნიჭიერი მოსწავლეების შერჩევის პროცესი, საგნების შესახებ გარკვეული ინფორმაცია და კვლევის შედეგები.

ამ კვლევაში გამოყენებული იყო ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები მონაცემების შეგროვების მიზნით. ნიჭიერი სტუდენტების შესარჩევად

გამოყენებული იყო გონებრივი შესაძლებლობების, კრეატიულობის ტესტი და მასწავლებელთა და მშობელთა ნომინაციის ფორმები. მათემატიკის და მეცნიერების გაკვეთილების შეფასების შედეგები გამოყენებული იყო დაჩქარების და გაძლიერების მოდელების შესადარებლად და გამოკითხვები ჩატარდა სტუდენტების პროგრამებით კმაყოფილების შესაფასებლად. მასწავლებელთა ინტერვიუები და სტუდენტებზე დაკვირვება გაკვეთილების განმავლობაში მონაცემთა შეგროვების ხარისხობრივ ასპექტებს წარმოადგენს.

პირველ ეტაპზე, მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ნიჭიერი და დაჯილდოებული მოსწავლეების შერჩევაზე. ჩვენი მიზანი იყო ნიჭიერი მოსწავლეების საკმარისი რაოდენობა შეგვერჩია კვლევის ექსპერიმენტის კომპონენტისთვის. ვეწვიეთ 5 კერძო სკოლას ერბილში, ერაყში და გამოვკითხეთ მესამე კლასელი მოსწავლეების მასწავლებლები. ჩავატარეთ სემინარები ნიჭიერი მოსწავლეების მახასიათებლებისა და მათი განათლების შესახებ. მშობლები და მასწავლებლები მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ შერჩევის პროცესში. მათ მივეცით ნომინაციის ფორმები. ამ ფორმების შედეგების მიხედვით, რეკომენდებულ მოსწავლეებს ჩაუტარდათ გონებრივი შესაძლებლობის და კრეატიულობის ტესტები. ტესტების შედეგების მიხედვით შეირჩა 9 დაჯილდოებული მოსწავლე, რომლებიც გადანაწილდნენ ორ ექსპერიმენტულ ჯგუფში. 5 მოსწავლე განთავსდა გაძლიერებული პროგრამის ჯგუფში, ხოლო 4 მოსწავლე დაჩქარების პროგრამის ჯგუფში. მშობლები, სტუდენტები და მასწავლებლები ინფორმირებული იყვნენ, რომ პროგრამა დაიწყებოდა მესამე კლასის შემდეგ საზაფხულო არდადეგების განმავლობაში.

მეორე ეტაპზე, შემუშავდა საზაფხულო დაჩქარების და გაძლიერების პროგრამები ნიჭიერი მოსწავლეებისთვის. პროგრამის სახელწოდება იყო საზაფხულო პროგრამა და მიზნად ისახავდა გაძლიერების და დაჩქარების პროგრამების შედარებას. ამ მიზნით, მათემატიკისა და მეცნიერების გაკვეთილის კურიკულუმი მეოთხე კლასელებისთვის გადაიხედა და შეირჩა რამდენიმე თემა სწავლებისთვის. 5 კვირის საზაფხულო სკოლაში, მათემატიკისა და მეცნიერების გაკვეთილების გარდა, ბავშვებს ასევე ჩაუტარდათ კრიტიკული აზროვნების გაკვეთილი რათა საზაფხულო

სკოლა უფრო სასიამოვნო ყოფილიყო ბავშვებისთვის. იმისათვის რომ ხუთ კვირიანი სახალისო საზაფხულო პროგრამა უფრო სასიამოვნო ყოფილიყო, მას ასევე დაემატა კრიტიკული აზროვნების ღონისძიებები.

გავესაუბრე დაჯილდოებული ბავშვების მშობლებს და მივაწოდე ინფორმაცია პროგრამის შესახებ. მშობლებისგან მიღებული იყო ნებართვა, რომ ბავშვებს მონაწილეობა მიეღოთ საზაფხულო პროგრამებში. კვირაში სამი დღე, შაბათს, კვირას და ოთხშაბათს, მათ უტარდებოდათ 5 გაკვეთილი სამ სხვადასხვა საგანში დღის განმავლობაში.

დღით, სწავლება ტარდებოდა გაძლიერების პროგრამის ჯგუფისთვის, ხოლო შუა დღით კი დაჩქარების პროგრამის ჯგუფისთვის. განსაკუთრებით დაჩქარების ჯგუფის შემთხვევაში, ზოგიერთი აქტივობა დაგეგმილი იყო სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის მიზნით. საგანმანათლებლო და გონებრივი თამაშების გამოყენება, პიკნიკებისა და ექსკურსიების გამართვა სწორედ ასეთი აქტივობები იყო. გაკვეთილების განმავლობაში, მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეტესტი, შუალედური ტესტი და პოსტ-ტესტი სწავლის შეფასების მიზნით.

ცხრილი1. ყოველ კვირეული საზაფხულო სკოლის პროგრამა გაძლიერებული და დაჩქარებული ჯგუფისთვის

შაბათი	კვირა	ოთხშაბათი
კრიტიკული აზროვნება	მეცნიერება	მათემატიკა
მათემატიკა	მეცნიერება	მეცნიერება
მათემატიკა	მათემატიკა	კრიტიკული აზროვნება
მეცნიერება	კრიტიკული აზროვნება	კრიტიკული აზროვნება

მესამე ეტაპზე, კურსის დასრულების შემდეგ, ორივე ჯგუფის სტუდენტებმა გაიარეს გონებრივი შესაძლებლობის ტესტი, კრეატიულობის ტესტი და საბოლოო გამოცდა ყველა საგანში პოსტ-ტესტის სახით.

ყველა დაჯილდოებულ მოსწავლეს მიეცა კითხვარი საზაფხულო პროგრამის შეფასებისთვის და დაჩქარებისა და გაძლიერების ჯგუფებით კმაყოფილების დონის დასადგენად.

სტუდენტების დონის და ასაკის გათვალისწინებით, სკალაში შევიდა მხოლოდ 5 საკითხი. საერთო ჯამში, ჩვენი მიზანი იყო მოსწავლეებისგან მიგველო პროგრამების ზოგადი შეფასება. მომდევნო კვლევებისთვის იმავე მოსწავლეების მონაწილეობით, კითხვარი წარმოდგენას მოგვცემს პროგრამების შედგენის შესახებ. მაგალითად, სტუდენტთა უმრავლესობას მოეწონათ საზაფხულო პროგრამების გასართობი აქტივობები და სხვა დაჯილდოებულ ბავშვებთან დროის გატარება. მომდევნო სასწავლო წლისთვის, შეიძლება შეიქმნას ახალი პროგრამები ამ ბავშვებისთვის.

პრე, შუალედური და პოსტ ტესტების შედეგების ანალიზი

დაჯილდოებული სტუდენტების შერჩევის და დაჩქარების და გაძლიერების პროგრამების შექმნის შემდეგ, ჩვენ შევარჩიეთ კურსები, რომლებიც ხუთი კვირის განმავლობაში ჩატარდებოდა. პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, სტუდენტებმა გაიარეს სამი სხვადასხვა ტესტი, პრე, პოსტ და შუალედური ტესტები, რომელთა შედეგად შემდეგი მონაცემები იქნა მიღებული.

ცხრილი 2. მათემატიკის ტესტების შედეგები (გაძლიერების ჯგუფი)

სტუდენტების სახელი	პრე ტესტი	შუალედური ტესტი	პოსტ ტესტი	საერთო ზრდა
სტუდენტი 1	85	85	90	+5
სტუდენტი 2	88	90	95	+7
სტუდენტი 3	83	80	90	+7
სტუდენტი 4	90	83	98	+8
სტუდენტი 5	75	73	90	+15
საშუალო	84.2	82.2	92.6	+8.4
მედიანა	85	83	90	
სტანდარტული გადახრა	5.8	6.3	3.7	

გაძლიერების ჯგუფის მიგნებები და შედეგები მათემატიკის გაკვეთილებზე:

- ✓ პრეტესტსა და პოსტ-ტესტების შორის განსხვავება ყველა სტუდენტის შემთხვევაში იყო ხუთი ან ხუთზე მეტი და ყველა მათგანმა ჯგუფში აჩვენა მნიშვნელოვანი ზრდა.

✓ განსხვავება პრეტესტებსა და შუალედურ ტესტებს შორის განსხვავდებოდა. ორი სტუდენტის შემთხვევაში ქულები გაიზარდა და სამმა მათგანმა, პრე-ტესტთან შედარებით, უფრო დაბალი ქულა მიიღო.

✓ ორმა განსაკუთრებით ნიჭიერმა სტუდენტმა ამ ჯგუფში აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი, საერთო ქულით - 7.

✓ ერთმა სტუდენტმა ჯგუფში განსაკუთრებული პროგრესი აჩვენა - 15 ქულით.

✓ სტანდარტული გადახრა მცირეა. იგი მიუთითებს, რომ ჯგუფი უფრო ჰომოგენურია. თუმცა მოსწავლეთა რაოდენობა ჯგუფებში ცოტაა. ამის გამო, სტანდარტულმა გადახრამ შეიძლება არ მოგვცეს მნიშვნელოვანი შედეგები. მეტიც, ყველა ეს მოსწავლე ნიჭიერია და მათი ქულები ერთმანეთის მსგავსია.

✓ პრე-ტესტებისა და პოსტ-ტესტების საშუალო განსხვავება ასევე მნიშვნელოვანია და ს 8.4 ქულას შეადგენ. ეს მიუთითებს, რომ მითითების მეთოდები და სწავლების სტრატეგიები გაძლიერების ჯგუფში ამაღლებს სტუდენტების მოტივაციას და აძლიერებს მათ სწავლას.

ცხრილი 3. მათემატიკის ტესტების შედეგები (დაჩქარების ჯგუფი)

სტუდენტის სახელი	პრე ტესტი	შუალედური ტესტი	პოსტ-ტესტი	საერთო ზრდა
სტუდენტი 1	90	90	92	+3
სტუდენტი 2	95	95	95	0
სტუდენტი 3	84	85	87	+3
სტუდენტი 4	89	90	87	-2
საშუალო	89.5	90	90.25	
მედიანა	89.5	90	89.5	
სტანდარტული გადახრა	4.5	4.08	3.9	

დაჩქარების ჯგუფის მიგნებები და შედეგები მათემატიკის გაკვეთილზე:

- ✓ ზოგიერთმა სტუდენტმა ამ ჯგუფში აჩვენა უმნიშვნელო ზრდა.
- ✓ ორმა მათგანმა საერთოდ არ აჩვენა გაუმჯობესება.

✓ მათემატიკის გაკვეთილების განმავლობაში, განსაკუთრებით დაჯილდოებულმა მოსწავლეებმა, ტავ და იერივანმა, აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი 5-ზე მეტი ქულით.

✓ პრე-ტესტსა და შუალედურ ტესტებს შორის დაფიქსირდა ზრდა.

დაჩქარების ჯგუფში მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული სწავლების მეთოდები არ იყო ისეთივე ეფექტური, როგორც გაძლიერების ჯგუფში. გაძლიერების და დაჩქარებულის ჯგუფებში გამოყენებულ მეთოდებს შორის განსხვავებამ გავლენა მოახდია სტუდენტების მიღწევაზე. გაძლიერების ჯგუფში გამოყენებული სწავლების მეთოდები იყო სტუდენტზე ორიენტირებული, გამოწვევებით სავსე და მოტივაციის მიმცემი.

მათ უფრო სწრაფად უნდა ესწავლათ თემების სრულად დასაფარად. თუმცა ძალზედ ნიჭიერი მოსწავლეები წარმატებულებები იყვნენ დაჩქარების პროგრამებშიც კი მაღალი გონებრივი შესაძლებლობების გამო.

ცხრილი 4. მათემატიკის ტესტების შედეგების შედარება ორივე ჯგუფში

ჯგუფი	დაფიქსირებული საშუალო(sd)		t ტესტი		
	პრე-ტესტი	პოსტ-ტესტი	T	P	D f
გაძლიერება	84 (5.8)	92 (3.7)	-4.88	0.008	4
დაჩქარება	89.5 (4.5)	90 (3.9)	-0.67	0.54	3

დაჩქარებული და გაძლიერებული საგანმანათლებლო მოდელების სტუდენტების შედეგებზე ეფექტის დასადგენად ჩვენ შევადარეთ ტესტის შედეგები T ტესტების დახმარებით.

გაძლიერების ჯგუფში, პრეტესტის საშუალო ქულა შეადგენდა 84 (SD 5.8) და პოსტ-ტესტის - 92 (SD 5.8). დაჩქარების ჯგუფში, პრეტესტის საშუალო შეადგენდა 89.5 (SD 4.5) და პოსტ-ტესტი 90 (SD 3.9). P ქულა ნაკლებია 0.5-ზე, რაც ასევე ადასტურებს, რომ გაძლიერების მოდელებს ნამდვილად დადებითი გავლენა ჰქონდა

სტუდენტების მოსწრებაზე გაძლიერების ჯგუფში და პრე-ტესტსა და პოსტ-ტესტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

დაჩქარების ჯგუფში, პრე-ტესტსა და პოსტ-ტესტის საშუალო განსხვავება მხოლოდ 0.5 შეადგინა. P ქულა 0.54 მიუთითებს, რომ ამ მიდგომას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ეფექტი მოსწავლეების მოსწრებაზე. თუმცა დაჩქარების ჯგუფში, ორმა განსაკუთრებით ნიჭიერმა მოსწავლემ აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი, რაც ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას. დაჩქარების პროგრამები უფრო მიზანშეწონილია განსაკუთრებით დაჯილდოებული ბავშვებისთვის.

ცხრილი 5. მეცნიერების ტესტების შედეგები (გაძლიერების ჯგუფი)

სტუდენტის სახელი	პრე-ტესტი	შუალედური ტესტი	პოსტ-ტესტი	საერთო ზრდა
სტუდენტი 1	82	85	90	+7
სტუდენტი 2	85	85	100	+15
სტუდენტი 3	83	85	90	+7
სტუდენტი 4	93	85	99	+6
სტუდენტი 5	85	75	87	+2
საშუალო	86.2	83	92.8	
მედიანა	85	85	90	
სტანდარტული გადახრა	4.08	4.47	6.22	

გაძლიერების ჯგუფში მეცნიერების გაკვეთილის მიგნებები და ანალიზი:

- ✓ ამ ჯგუფის ყველა მოსწავლემ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აჩვენა, პოსტ და პრე-ტესტებს შორის მინიმუმ ხუთ ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა.
- ✓ მხოლოდ ერთმა სტუდენტმა აჩვენა სტაბილური თუ უმნიშვნელო ზრდა ორი ქულით.
- ✓ მეცნიერების გაკვეთილების განმავლობაში, განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტები, ტავიმ და იერივანმა აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი 5 ქულით.

✓ შუალედურ და პრე-ტესტების შედეგებში არაა დიდი სხვაობა. ორმა სტუდენტმა გააუმჯობესა ქულები, ერთმა მოსწავლემ იგივე შედეგი აჩვენა, ხოლო ორმა - პრე-ტესტთან შედარებითი დაბალი ქულები მიიღო.

ცხრილი 6. მეცნიერების ტესტების შედეგები (დაჩქარების ჯგუფი)

სტუდენტის სახელი	პრე-ტესტი	შუალედური ტესტი	პოსტ-ტესტი	საერთო ზრდა
სტუდენტი 1	90	90	99	+9
სტუდენტი 2	92	90	87	-5
სტუდენტი 3	92	95	97	+5
სტუდენტი 4	93	95	94	+1
საშუალო	91.75	92.5	94.25	
მედიანა	92	92.5	95.5	
სტანდარტული გადახდა	1.25	2.88	5.25	

დაჩქარების ჯგუფში მეცნიერების გაკვეთილების შედეგები და ანალიზი:

✓ ამ ჯგუფის ყველა სტუდენტმა აჩვენა სტაბილური ზრდა, ხოლო ორმა მათგანმა არ აჩვენა რაიმე გაუმჯობესება.

✓ ამ ჯგუფში ორი განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეა და მათ მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენეს.

✓ მეცნიერების გაკვეთილების განმავლობაში, განსაკუთრებით ნიჭიერმა მოსწავლეებმა, აჰმეთმა და რასანმა, მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენეს 5 ქულაზე მეტით.

✓ დაჩქარების ჯგუფში, მეცნიერების გაკვეთილები არ იყო ისეთივე ეფექტური როგორც გაძლიერების ჯგუფში. დაჩქარების ჯგუფში მეცნიერების გაკვეთილებზე მოსწავლეებს მეტი თემა უნდა დაეფარათ მეორე ჯგუფთან შედარებით. ამიტომაც მათ უწევდათ მასალის უფრო სწრაფად გავლა და ვერ შესძლეს გარკვეული თავების სიღრმისეულად შესწავლა. მასწავლებლები ძირითადად მასწავლებელზე ორიენტირებულ მითითებების მიცემის მეთოდებს იყენებდნენ, რაც მოტივაციის პრობლემებს ქმნიდა.

ცხრილი 7. მეცნიერების ტესტების შედეგების შედარება ორივე ჯგუფში

ჯგუფი	დაფიქსირებული საშუალო (sd)		t ტესტი		
	პრე-ტესტი	პოსტ-ტესტი	T	P	D
გამლიერების	86 (4.3)	93.2 (5.8)	-3.59	0.02	4
დაჩქარების	91. (1.2)	92.5 (2.8)	-0.67	0.54	3

გამლიერებისა და დაჩქარების საგანმანათლებლო მოდელების ნიჭიერ სტუდენტებზე ეფექტის განსაზღვრისთვის მეცნიერების გაკვეთილზე, T ტესტი იქნა გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტად.

გამლიერების ჯგუფის შემთხვევაში, პრეტესტის საშუალო იყო 86 (SD 4.3) და პოსტ-ტესტი 93.2 (SD 5.8). პრეტესტსა და პოსტ-ტესტს შორის საშუალო განსხვავება დაჩქარების ჯგუფში მნიშვნელოვანი იყო და შეადგინა 7.2 ქულა. P ქულა ასევე ნაკლებია 0.05-ზე და აჩვენებს, რომ დაჩქარების ჯგუფის მოსწავლეებმა აჩვენეს უფრო მაღალი მოსწრება დაჩქარების ჯგუფთან შედარებით. ეს მიგნებები და შედეგები ადასტურებენ ჩვენს ჰიპოთეზას, რომ გამლიერების პროგრამები უფრო შესაფერისი და ეფექტურია ნიჭიერი სტუდენტების უმრავლესობისთვის.

დაჩქარების ჯგუფის შემთხვევაში, პრეტესტის საშუალო ქულა შეადგენდა 91 (SD 1.1) და პოსტ-ტესტის 92.5 (SD 2.8). პრეტესტსა და პოსტ-ტესტს შორის საშუალო განსხვავება მნიშვნელოვანია მხოლოდ 1.5-ით ზრდით. P ქულა (0.54) უფრო მეტია 0.05-ზე და აჩვენებს, რომ პრე- და პოსტ-ტესტის შედეგებს შორის არაა განსაკუთრებული პროგრესი.

გონებრივი შესაძლებლობის ტესტის შედეგები

ცხრილი 8. ორივე ჯგუფში ნიჭიერი მოსწავლეების გონებრივი შესაძლებლობის ტესტის ქულების შედარება

ჯგუფი	დაფიქსირებული საშუალო (sd)		t ტესტი		
	Pre-test	Post-test	T	P	Df
გამლიერება	129.5 (7.8)	140.8 (6.6)	-2.2	0.069	6

დაჩქარება	129 (5.6)	130.2 (9.6)	-0.39	0.72	3
-----------	--------------	----------------	-------	------	---

ორჯერ გამოყენებულია ტონი 4 გონებრივი შესაძლებლობის ტესტი. პირველ შემთხვევაში იგი შეფასდა გაძლიერების პროგრამამდე, როგორც პრე-ტესტი, ხოლო მეორე გამოყენებული და შეფასებული იყო გაძლიერების პროგრამის დასრულების შემდეგ. შედეგები ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას. ყველა ნიჭიერმა მოსწავლემ აჩვენა უფრო მაღალი ქულები გაძლიერების პროგრამების შემდეგ.

გაძლიერების ჯგუფის ყველა ნიჭიერმა სტუდენტმა აჩვენა მნიშვნელოვანი ზრდა. გაძლიერების ჯგუფის პრე-ტესტსა და პოსტ-ტესტის საშუალო ქულების განსხვავება 111.3-ს შეადგენს. გაძლიერების ჯგუფის P ქულა გაცილებით ნაკლებია დაჩქარების ჯგუფთან შედარებით და საკმაოდ უახლოვდება 0.05-ს. ეს ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ გაძლიერების ჯგუფის სწავლების მეთოდები ძალიან ეფექტიანი მოსწავლეების კოგნიტური განვითარებისთვის. მას დადებითი ეფექტი აქვს ნიჭიერებასა და კრეატიულობაზე. ნიჭიერთა განათლების შესახებ ბევრი ექსპერტის მსგავსად, ჩვენ ვადასტურებთ, რომ დაჩქარების პროგრამები უფრო მიზანშეწონილია განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისთვის. დაჩქარების ჯგუფის შემთხვევაში, პრე-ტესტსა და პოსტ-ტესტს შორის საშუალო განსხვავება მხოლოდ 1.2-ს შეადგენს. P ქულა 0.72-ია და აღემატება 0.05-ს. ეს არაა მნიშვნელოვანი ცვლილება თუ პროგრესი ორ ტესტს შორის.

კრეატიულობის ტესტის შედეგები

ცხრილი 9. ნიჭიერი მოსწავლეების კრეატიულობის ტესტის შედეგების შედარება ორივე ჯგუფში

ჯგუფი	დაფიქსირებული საშუალო (sd)		T ტესტი		
	პრე-ტესტი	პოსტ-ტესტი	T	P	Df
გაძლიერება	113.6 (12)	118.4 (15)	-2.27	0.084	4

დაჩქარება	111 (7.9)	115 (11.6)	-0.39	0.33	3
-----------	--------------	---------------	-------	------	---

კვლევის განმავლობაში ორჯერ გამოყენებული იყო ტორანსის კრეატიულობა. პირველ შემთხვევაში, იგი გამოყენებული და შეფასებული იყო გაძლიერების და დაჩქარების პროგრამების წინ პრეტესტის სახით, ხოლო მეორე კი გამოყენებული და შეფასებული იყო ნიჭიერთა პროგრამების დამთავრების შემდეგ.

გაძლიერების ჯგუფის შემთხვევაში, პრე-ტესტის საშუალო იყო 113.6 (SD 12) და პოსტ-ტესტი - 118.4 (SD 15). გაძლიერების პროგრამაში პრე-ტესტისა და პოსტ-ტესტის საშუალო განსხვავება მნიშვნელოვანი იყო და 4.8 ქულას შეადგენდა. გაძლიერების ჯგუფის P ქულა მნიშვნელოვნად ნაკლებია დაჩქარების ჯგუფის P ჯგუფთან შედარებით და ახლოსაა 0.05-თან. ეს შედეგები ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ გაძლიერების ჯგუფის მოსწავლეები უფრო წარმატებულები და მოტივირებულები იყვნენ დაჩქარების ჯგუფთან შედარებით. დაჩქარების მეთოდი შესაფერისია მხოლოდ ნიჭიერი მოსწავლეების მცირე ნაწილისთვის, რომლებიც განსაკუთრებულად დაჯილდოებულები არიან.

დაჩქარების ჯგუფის შემთხვევაში, საშუალო ქულა პრე-ტესტში 111-ს (SD 7.9) შეადგენდა, ხოლო პოსტ-ტესტი 115 (11.6) იყო. პრეტესტსა და პოსტ-ტესტს შორის საშუალო განსხვავება მნიშვნელოვანია 4 ქულის ზრდით. P ქულა 0.33 და ნაკლებია 0.05-ზე. ეს შედეგი აჩვენებს, რომ პირველსა და მეორე ტესტს შორის მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა დაჩქარების ჯგუფშიც. ორივე ჯგუფში ჩატარდა კრიტიკული აზროვნების და პრობლემების გადაწყვეტის სავარჯიშოები. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ გონებრივი შესაძლებლობა და კრეატიულობა არაა სტატიკური და შეიძლება მათი გაუმჯობესება. ბირდი (2005) აღნიშნავდა, რომ გონებრივი შესაძლებლობა და კრეატიულობა შეიძლება გაუმჯობესდეს წვრთნის შედეგად. ორივე ჯგუფის ნიჭიერმა მოსწავლეებმა აჩვენეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აზროვნების და პრობლემების გადაჭრის სავარჯიშოების გამო.

მოსწავლეების კმაყოფილების დონე

ცხრილი 10. გაძლიერების ჯგუფის მოსწავლეების კმაყოფილების დონე

კითხვა/სტუდენტი	პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის სასიამოვნო იყო	მომწონს სწავლების მეთოდები	კვლავაც ვისურვებდი გაძლიერების საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას.	მომწონს კრიტიკული აზროვნების გაკვეთილები	მომწონს ახალ მეგობრებთან სწავლა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
1	5	4	5	4	4	4.4	0.5 4
2	5	4	5	4	5	4.6	0.5 4
3	4	5	4	5	4	4.4	0.5 4
4	4	5	5	5	4	4.6	0.5 4
5	5	5	3	5	5	4.6	0.8 9
საშუალო	4.6	4.6	4.4	4.6	4.4		
სტანდარტული გადახრა	0.5 4	0.54	0.89	0.54	0.5 4		

გაძლიერების ჯგუფის ყველა მოსწავლეს ძალიან მოეწონა მითითების მიღების მეთოდები და აქტივობები. მითითება, სწავლების მეთოდები, აქტივობები და მასწავლებელთა დამოკიდებულება სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც განსაკუთრებით განსხვავდება რეგულარული გაკვეთილებისგან.

ყველა მონაწილის საშუალო ქულა 4.6-ს შეადგენდა, რაც მიუთითებს, რომ მათ მოეწონათ საზაფხულო სახალისო პროგრამა. 4.6 ქულის მქონე ყველა სტუდენტს მოსწონდა მითითებების მიცემის მეთოდები გაძლიერების ჯგუფში. როგორც ზევით აღინიშნა, გაძლიერების და დაჩქარების პროგრამებში გამოყენებული იყო მითითებების მიცემის სხვადასხვა მეთოდები. 4.6 ქულის მქონე თითქმის ყველა მოსწავლეს სურდა მონაწილეობა მიეღო ნიჭიერთა სხვა პროგრამებში. ამ პროგრამების მომავლისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი კრიტერიუმები იყოს

მონაწილეების რაოდენობა და მათი კმაყოფილება. ამ პროგრამების უწყვეტობა ასევე მნიშვნელოვანია ნიჭიერი ბავშვების საჭიროებების, მათი აკადემიური და სოციალური განვითარების დაკმაყოფილებისთვის.

4.6 საშუალო ქულის მქონე ყველა სტუდენტს მოეწონა კრიტიკული აზროვნების გაკვეთილები. ნიჭიერთა განათლების თითქმის ყველა პროგრამაში, კრიტიკული აზროვნების და პრობლემების გადაჭრის უნარის გაკვეთილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნიჭიერი მოსწავლეების ყურადღების მისაპყრობად და პროგრამებში მათი მონაწილეობის გასაზრდელად. შეიძლება ზოგიერთ მოსწავლეს არ მოსწონს სხვა გაკვეთილები, თუმცა მათ შესაძლოა მონაწილეობის მიღების სურვილი ჰქონდეთ ამ გაკვეთილების გამო. მათი დახმარებით ბავშვებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია პატარა ბავშვებისთვის ისწავლონ როგორ მოუარონ საკუთარ თავს ადრეულ ასაკში.

აშკარა იყო, რომ მოსწავლეებს სიამოვნებდათ ერთად სწავლა. მათი უმეტესობა კარგ დროს ატარებდა სხვა ნიჭიერ ბავშვებთან. საკლასო ოთახში, შეიძლება შეიქმნას რთული ატმოსფერო. თუმცა, თუკი მოსწავლეები მართლაც გრძნობენ განსხვავებულობას საკუთარი თანატოლებისგან და მხოლოდ საკუთარ ნიჭიერებას და ტალანტს ეყრდნობიან, შეიძლება მომავალში ამან პრობლემები შექმნას. ამ გრძნობამ შეიძლება შეასუსტოს ნიჭიერი მოსწავლეების მოტივაცია და გამოიწვიოს მათი განცალკევება სხვა ბავშვებისგან. ამით ისინი აკნინებენ თავიანთი მეგობრების შესაძლებლობებს და უნარებს. ისინი შეიძლება ეგოისტები და ამპარტავნები გახდნენ.

ცხრილი 11. დაჩქარების ჯგუფის მოსწავლეების კმაყოფილების დონე

კითხვა/სტუდენტი	პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის სასიამოვნო იყო	მომწონს სწავლების მეთოდები	კვლავაც ვისურვებდი გაძლიერების საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას.	მომწონს კრიტიკული აზროვნების გაკვეთილები	მომწონს ახალ მეგობრებთან ერთად სწავლა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
1	3	3	3	5	4	3.6	89 0.

2	3	3	4	5	5	4	1
3	4	4	3	5	4	4	0. 7
4	3	3	4	5	5	4	1
საშუალო	3.25	3.25	3.5	5	4.5		
სტანდარტული გადახრა	0.5	0.5	0.57	0	0.57		

გაძლიერების ჯგუფთან შედარებით, პირველი კითხვის საშუალო ქულა იყო 3.25, რაც გაცილებით დაბალი იყო გაძლიერების ჯგუფთან შედარებით.

გაძლიერების ჯგუფთან შედარებით, მეორე კითხვების საშუალო ქულა იყო 3.25. სწავლების მეთოდები არ მოეწონა ყველა სტუდენტს.

დაჩქარების ჯგუფში, საშუალო ქულის 4.5 -ის მქონე ყველა მოსწავლეს მოეწონა კრიტიკული აზროვნების გაკვეთილი. როგორც ავლნიშნეთ, კრიტიკული აზროვნება ნებისმიერი ნიჭიერთა განათლების პროგრამის ძირითადი გაკვეთილია. დაჩქარების ჯგუფის ყველა მოსწავლეს ასევე მოეწონათ ერთად ყოფნა გაძლიერების ჯგუფის მსგავსად. ბევრ სკოლაში, შეიძლება მხოლოდ რამოდენიმე მოსწავლის დაჩქარების პროგრამაში ჩართვა და ასეთ ნიჭიერ ბავშვებს უწევთ ისწავლონ ჩვეულებრივ საკლასო ოთახში ნორმალურ ბავშვებთან ერთად. ზოგჯერ, ნიჭიერი ბავშვები შეიძლება თავს იზოლირებულად და მარტოდ გრძნობდნენ თავს მაღალ კლასებში. სხვა დაჩქარებული პროგრამის მოსწავლის იმავე საკლასო ოთახში ყოფნამ შეიძლება აღკვეთოს ეს პრობლემები.

გაძლიერების ჯგუფთან შედარებით, 3.5 საშუალო ქულის მქონე ბავშვებმა ნაკლები ინტერესი და მზაობა გამოთქვეს სხვა პროგრამებში მონაწილეობის მიღებაზე. საინტერესოა, რომ მხოლოდ ორმა განსაკუთრებით ნიჭიერმა მოსწავლემ მიიღო 4 და 5. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ დაჩქარების პროგრამები უფრო შესაბამისია მხოლოდ ძალიან დაჯიბლოებული ბავშვებისთვის. ეს მოსაზრება ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ მოსწავლეები მეტ სარგებელს იღებენ გაძლიერების პროგრამებით, რომლებიც უფრო ეფექტურია ნიჭიერი მოსწავლეების უმეტესობისთვის. დაჩქარების პროგრამები ზოგადად ძალზედ ნიჭიერი მოსწავლეებისთვის არის გამიზნული.

ერთის გარდა, სამ ნიჭიერ მოსწავლეს სურვილი ჰქონდათ დასწრებოდნენ ნიჭიერთა განათლების ახალ პროგრამებს. შეიძლება ეს მითითებების და სწავლების მეთოდების გამო იყო.

შედეგების მიმოხილვა და ანალიზი

ამ კვლევის მიზანი ნიჭიერთა განათლების ორი პროგრამის, გაძლიერების და დაჩქარების პროგრამების, შედარება იყო. კვლევა ასევე მიზნად ისახავდა ამ პროგრამების გავლენის შეფასებას ნიჭიერი ბავშვების კრეატიულობასა და გონებრივ შესაძლებლობებზე. მეტად სანდო შედეგების მისაღებად გამოყენებული იყო ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

ზოგადად, ექსპერიმენტის შედეგად ოთხი ძირითადი შედეგი გამოვლინდა. ესენია: (1) სტუდენტების აკადემიური მიღწევა მათემატიკისა და მეცნიერების გაკვეთილზე, (2) მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობის ტესტის შედეგები; (3) მათი კრეატიულობის ტესტის შედეგები და (4) მათი კმაყოფილების დონე.

ნიჭიერ მოსწავლეთა მოსწრება დაჩქარების და გაძლიერების ჯგუფში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. დაჩქარების პროგრამებთან შედარებით ნიჭიერი ბავშვები გაძლიერების პროგრამებში უფრო წარმატებულები იყვნენ მათემატიკისა და მეცნიერების გაკვეთილებზე. თუმცა დაჩქარების ჯგუფში, ორმა განსაკუთრებით ნიჭიერმა სტუდენტმა მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. შემიძლია ვივარაუდო, რომ გაძლიერების პროგრამები უფრო შესაფერისია ნიჭიერი ბავშვების უმრავლესობისთვის, მაგრამ მეტად დაჯილდოებული ბავშვები ორივე ჯგუფში წარმატებულებები არიან.

ნიჭიერი მოსწავლეების გონებრივი შესაძლებლობის და კრეატიულობის ტესტის ქულები ასევე განსხვავდება ორ ჯგუფში. გაძლიერების ჯგუფებში, სტუდენტებმა აჩვენეს მნიშვნელოვანი ზრდა გონებრივი და კრეატიულობის ტესტებში. თუმცა დაჩქარების ჯგუფში, განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების გარდა, ქულები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ეს შედეგი ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას. გაძლიერების პროგრამები უფრო შეეფერება და ეხმარება მოსწავლეებს აიმაღლონ გონებრივი და კრეატიულობის დონე.

კმაყოფილების გამოკითხვის თანახმად, ორივე ჯგუფის ნიჭიერ ბავშვებს მოეწონათ ზაფხულის სახალისო პროგრამა. ყველა ნიჭიერ მოსწავლეს განსაკუთრებით მოეწონა კრიტიკული აზროვნების გაკვეთილი.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის მიგნებები და შედეგები მნიშვნელოვანია სპეციალური განათლების სამომავლო პროგრამებისთვის და ნიჭიერთა განათლებისთვის.

მომზადების ეტაპზე, კვლევის სუბიექტების მოძებნა იოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ერაყის ქურთისტანის რეგიონში არაა ნიჭიერთა სკოლა დაწყებითი დონის ბავშვებისთვის. ამის გამო, საჭირო იყო მოსწავლეების გაცხრილვა და გამოცდა. გონებრივი შესაძლებლობის ტესტები არაა უფასო. ის ფული ღირს და მათი ადმინისტრირებისთვის საჭიროა სერთიფიკატი და გამოცდილება. მე მომიწია ტესტის მასალების ყიდვა და გარკვეულ კურსებზე დასწრება გონებრივი შესაძლებლობის და კრეატიულობის ტესტების ადმინისტრირების შესასწავლად.

გარკვეული შეზღუდვები უკავშირდება იდენტიფიკაციის და შერჩევის პროცესს.

ა. მოსწავლეთა უმრავლესობა არ იცნობდა გონებრივი შესაძლებლობის ტესტებს. ამის გამო, ზოგიერთ მათგანს შეიძლება ცუდი ქულა მიეღოთ.

ბ. შერჩევის მეთოდები, გონებრივი შესაძლებლობის ტესტები, კრეატიულობის ტესტები საკმაოდ ძვირია, შესაბამისად შესაძლებელი იყო მხოლოდ რამოდენიმე ტიპის ტესტის გამოყენება.

გ. სტუდენტები არ უნდა შეირჩნენ სტანდარტიზებული ტესტების მიხედვით, რადგანაც სხვა ფაქტორები, როგორცაა მათი უნარები, ნიჭი და ინტერესები შეიძლება უგუვებელყოფილი იყოს.

როგორც ადრე ავღნიშნეთ, ამ რეგიონში არაა ნიჭიერთა სკოლა და არც ნიჭიერთა განათლების პროგრამა. დაჩქარებისა და გაძლიერების პროგრამების ჩამოყალიბების დროს გარკვეულ პრობლემებს წავაწყდით. ზოგიერთი საგანმანათლებლო მასალა, როგორცაა წიგნები, სახელმძღვანელოები, აქტივობების წიგნები, საგანმანათლებლო თამაშები და აქტივობები მოსაძიებელი იყო. საჭირო იყო მათი ინტერნეტით შეკვეთა, რასაც დრო და ფული სჭირდებოდა. გამოცდილი და მცოდნე მასწავლებლების

ნაკლებობის გამო, მკვლევარს მოუწია ორივე ჯგუფისთვის სწავლება. ეს დამლული გამოცდილება იყო ჩემთვის.

მშობელთა და სკოლის ადმინისტრაციულ თანამშრომელთა უმეტესობისთვის, ნიჭიერთა განათლების პროგრამის სხვა შენობაში განხორციელება ნიშნავს იზოლირების პრობლემას კატარა ბავშვებისთვის. ახალი სკოლის შენობასთან, საკლასო ოთახთან და რუტინასთან მიჩვევას შეიძლება დასჭირდეს დრო და დაწყებითი სკოლის ბავშვებში სტრესი შეიძლება გამოიწვიოს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ლიტერატურისა და ექსპერიმენტალური კვლევის ანალიზის საფუძველზე, დისერტაციის დასკვნები და რეკომენდაციები შემდეგია:

დაწყებითი სკოლის დონეზე, ნიჭიერთა განათლების პროგრამები მნიშვნელოვანი, საჭირო და ღირებულია.

1. მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, რომლებმაც კვლევაში გარკვეული წვლილი შეიტანეს, საუბრობენ ამ საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით დაწყებით დონეზე. ასეთი ტიპის პროგრამები ეხმარება დაწყებითი ეტაპის ბავშვებს მოემზადონ საშუალო სკოლისთვის რთული დავალებების დაძლევა.

2. მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი და დაჯილდოებული ბავშვების რაოდენობა ნაკლებია საზოგადოებაში, შეუძლებელია სათანადოდ არ შეფასდეს მათი წვლილი საზოგადოებისთვის. სწორედ ამიტომ, ნიჭიერი ბავშვების იდენტიფიცირება ადრეულ ასაკშივე უნდა მოხდეს. იდენტიფიცირების ზოგიერთი მეთოდი მართლაც ძვირად ფასობს და სწორედ ამიტომ მთავრობამ დახმარება უნდა გაუწიოს სკოლებს თუ კონკრეტულ დაწესებულებებს შეისყიდონ ეს მასალები. გონებრივი შესაძლებლობის ყველა ტესტის გამოყენება არ შეიძლება ენის და კულტურის გამო. ამის გათვალისწინებით, მომავალში შესაძლებელია ახალი ტესტებისა და იდენტიფიკაციის მასშტაბების ჩამოყალიბება უნივერსიტეტების თუ სკოლების მიერ ამ რეგიონისთვის.

3. ნიჭიერი ბავშვების და მათი განათლების შესახებ მასწავლებელთა ცოდნა და გამოცდილება არასაკმარისია ნიჭიერი ბავშვების ამოსაცნობად და სკოლებში მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მასწავლებლებისთვის სემინარების გამართვა და კონფერენციებზე დასწრების წახალისება შეიძლება მომავალში ნიჭიერთა განათლების წარმატების სტრატეგიები იყოს. სკოლის ადმინისტრაციულმა თანამშრომლებმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ გამართონ ასეთი სემინარები და კონფერენციები და მუდმივად დაეხმარონ მასწავლებლებს.

4. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ნიჭიერთა განათლების პროგრამების შესახებ და მათ უნდა შეარჩიონ განათლების შესაბამისი მოდელი ნიჭიერი ბავშვებისთვის.

5. დაჩქარების მოდელებით შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების საჭიროების დაკმაყოფილება. კლასის გამოტოვება შეიძლება დაეხმაროს ნიჭიერ ბავშვებს ჩააბარონ და ადრე დაამთავრონ უნივერსიტეტი. გაძლიერების მოდელები უფრო შესაფერისია ნიჭიერი ბავშვებისთვის.

6. კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარები ნიჭიერმა ბავშვებმა ადრეული ასაკიდანვე უნდა შეისწავლონ. ასეთი აქტივობებით მათი მოტივაცია იზრდება. ეს გაკვეთილები ეხმარება მათ გააუმჯობესონ შინაგანი მოტივაცია და იპოვონ კავშირი სასწავლო ოთახში ნასწავლსა და რეალურ ცხოვრებაში მისი გამოყენებისთვის.

7. ნიჭიერი ბავშვების საჭიროებისთვის პროგრამის შექმნისთვის საჭიროა ფრთხილი გათვლა და მცდელობები. ამის გამო მასწავლებლებმა და ამ სფეროს ექსპერტებმა განათლება უნდა მიიღონ და იმუშაონ. დაწყებითი სკოლის ნიჭიერთა განათლება და კურიკულუმი უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი პროგრამებისგან და სასწავლო გეგმებისგან სკოლაში. თემები და აქტივობები უფრო რთული და ავთენტური უნდა იყოს.

თუკი კურიკულუმის მიზანია ნიჭიერი მოსწავლეების საჭიროებების დაკმაყოფილება, მათი სოციალური და აკადემიური მოთხოვნების გათვალისწინებით, არსებული სასწავლო გეგმის გადახედვა თუ ახლის შექმნა უდაოდ მნიშვნელოვანია. საკლასო ოთახში ჩატარებული დაკვირვებებსა და ამ კვლევით მოპოვებული მონაცემების თანახმად, მითითების მეთოდები და

კურიკულუმის შექმნა უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეებზე ორიენტირებული მითითების მეთოდებს. მასწავლებელთა უმრავლესობა იყენებს მასწავლებელზე ორიენტირებულ მითითების მეთოდებს, რაც მოიცავს პრაქტიკულ სავარჯიშოებს და განმეორებას. ეს მეთოდები შესაძლოა გამოსადეგი იყო ჩვეულებრივი ბავშვებისთვის, მაგრამ ნიჭიერი და განსაკუთრებით დაჯილდოებული მოსწავლეების შემთხვევაში ეს ძალიან მოსაწყენი და დროის დაკარგვაა. მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ მითითების სხვა მეთოდები მოსწავლეთა გააქტიურების მიზნით. მათ მოსწონთ უნარებზე დაფუძნებული მითითების მეთოდები, როგორცაა გონებრივი ნიმუში, კვლევითი სწავლა და ძიების მეთოდები. მოსწავლეები უფრო აქტიურები არიან და ისინი სწავლის პროცესში სიამოვნებით ერთვებიან. ამ ტიპის კურიკულუმის და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას მეტი ძალისხმევა, კონცენტრაცია და დრო სჭირდება. ეფექტიანი კურიკულუმი შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

ა. სტუდენტებზე ორიენტირებული;

ბ. კარგად აგებული;

გ. ახალი სწავლის მეთოდების ხელშეწყობა;

დ. გამოწვევებით დატვირთული;

ე. ორიენტირებულია ძირითად უნარებზე მოსწავლეების ცხოვრებისთვის მოსამზადებლად;

ვ. ღრმა, მრავალფეროვანი, თემებით და მოცულობით უნიკალური;

ზ. ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარების უნარებზე დაფუძნებული;

თ. ტექნოლოგიებით ინტეგრირებული

ეფექტიანი და უნარებზე დაფუძნებული კურიკულუმის შექმნით, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ მიაღწიონ გაკვეთილის მიზანს და დააკმაყოფილონ ნიჭიერი მოსწავლეების საჭიროებები.

8. კვლევის შედეგებით დადასტურდა თანატოლთა ჯგუფების მნიშვნელობა ნიჭიერთა განათლებაში. როდესაც ნიჭიერი ბავშვი ინტელექტით თანასწორ მოსწავლესთან ერთად იღებს განათლებას, იგი უფრო ბედნიერი და მხიარულია რთული გარემოს არსებობის და მეგობრებთან საერთო ინტერესების გაზიარების გამო.

ნიჭიერი ბავშვების მშობელთა უმრავლესობა დაფიქრებულია მომავალი სწავლის შესახებ. მათი შვილები შერჩეული არიან. მათ მიეწოდებათ ხუთ კვირიანი განათლება და რა მოვლით მათ ამის შემდეგ. დაბრუნდებიან ისინი ჩვეულებრივ ჯგუფებში თუ ეს პროგრამები გაგრძელდება? როგორც ზევით ავლინებთ, ასეთი ტიპის პროგრამები უნდა გაგრძელდეს და მიეწოდოს ნიჭიერ ბავშვებს.

9. გაძლიერების პროგრამის აქტივობები და გამოცდილება მიჩნეული იყო როგორც ამ პროგრამის სიძლიერე, რადგანაც ნიჭიერ და ჭკვიან ბავშვებს ასეთი შესაძლებლობები შეიძლება არ ჰქონდეთ ჩვეულებრივ ჯგუფებში.

10. გაძლიერების პროგრამებში, მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ თავიანთი სწავლა და გამოცდილება რეალური პრობლემების გადასაჭრელად.

პუბლიკაციების ჩამონათვალი სადაც ასახულია დისერტაციის ძირითადი
მოსაზრებები და მიგნებები

- 1-Baser, C. (2015). Classroom Teachers ‘Knowledge Regarding Selection of Gifted Children and their Characteristics. *6th International Visible Conference on Educational Studies & Applied Linguistics*. (pp. 552-557). Erbil: Ishik University.
2. Baser,C.,& Kanar, N. (2015). Future Teachers` Attitude towards Gifted Students and their Education. *6th International Visible Conference on Educational Studies & Applied Linguistics*. (pp. 558-563). Erbil: Ishik University.
3. Baser,C. (2014). Material Development for Gifted Children in Second Language Teaching. In Mart, C. T. (Ed.), *5th International Visible Conference on Foreign Language and Applied Linguistics*. (pp. 434-439). Erbil: Ishik University.
4. Baser,C.,& Kanar, N. (2014). How can you “Gift” to Second Language Young Learners. *Procedia-Social and Behavioral Sciences*. ELSEVIER, 136(2014) ,pp. 246-249